


ოთარ ჯირკვალიშვილი – თუთიყუშები

July 2, 2018



მოქმედი პირნი

დიაკვანი ტიტე

მამა თედო

შორენა, მდივან-რეფერენტი

მეუფე კობა, ქორეპისკოპოსი

ქორო, ეპისკოპატი (სინოდი)

პირველი ნახევარგუნდი

მეორე ნახევარგუნდი

თუთიყუში შიო

ახალგაზრდა მწერალი

მონაზონი მათა
მეუფე პეტრე

პროლოგი

სცენის სიღრმეში მოსჩანს ეკლესია. სცენის მარცხენა მხრიდან საუბრით შემოდის მამა თედო და დიაკვანი ტიტე. შუაში ჩერდებიან. მამა თედოს ჩვეულებრივი სლავური სამღვდლო შესამოსელი ანაფორა აცვია, თავზე სლავური სკუფია ახურავს, ხელში კრიალოსანი უჭირავს, კისერზე კი დეკანოზისთვის განკუთვნილი ოქროს ჯვარი ჰკიდია. ტიტეს, ინფანტილურსა და ეგზალტირებულ ნეოფიტს, დიაკვნის თეთრი სტიქარი აცვია.

დიაკვანი ტიტე

... ჩემო მოძღვარო,
რა გადაწყდა ერთი მითხარი,
შეასმინეთ წმინდა კრებულს ჩემი წადილი,
რომელიც ადრე აღსარების დროსაც გაიმბეთ?

მამა თედო

ეჰ, ჩემო ტიტე, როგორ მომწონს შენი ამაღლებული მეტყველების მანერა, არაპოეტურად ერთი წინადადების წარმოთქმაც კი არ შეგიძლია, როგორი აღტყინებული ხარ (მხარზე ხელს მოუთათუნებს, შეხედავს და ჩაეცინება).

დიაკვანი ტიტე

ჩემო მამი, რომც შემძლებოდა მაინც ასე ვიმეტყველებდი,
განა ძალმიძს წმინდა საგნებზე ვულგარული ენით ვიუბნო?

მამა თედო

კარგი ტიტე, გაგეხუმრე, ნება შენია (გაეღიმება).

დიაკვანი ტიტე

ო, ჩემო მამი, კითხვაზე რომ პასუხს არა მცემ,
ალბათ რაღაც ისე ვერ არის?!

მამა თედო

არა, ტიტე, არა. შენი ნება გამოვუცხადე მღვდელმთავართ. კომისიის წევრებს ვუთხარი, რომ გასურს, რაც შეიძლება მალე გაკურთხონ მღვდლად, რადგან შენ ამას იმსახურებ. ისიც ვუთხარი, რომ რეკომენდაციას გიწევ, როგორც ჩემს სულიერ შვილს და ჩემი ეკლესიის კარგ მსახურს.

დიაკვანი ტიტე

და რაო მამი, რა ინებეს წმინდა მამებმა?

მამა თედო

ასე თქვეს, ეკლესიას ამ პერიოდში სერიოზული პრობლემები აქვს და ამ საკითხის

განხილვა ცოტათი გადავდოთო. მანამდე ტიტეს გადაეცი, საბუთების შეგროვება დაიწყოს, ის მღვდელი აუცილებლად გახდებაო.

დ ი ა კ ვ ა ნ ი ტ ი ტ ე
რა საბუთების, ჩემო მამი, ერთი მითხარი.

მ ა მ ა თ ე დ ო
ცოტა უხერხული კია, ჩემო შვილო, მაგრამ არსებობს რაღაც ფორმალური მხარე. როგორც ჩვენი ერთი გამოჩენილი მწერალი ამბობს, „ჯერ საქმეა წესი...“ უფრო სწორად „ჯერ წესია წესი...“ თუ როგორც არის. მოკლედ, უნდა წარადგინო: პირადობის მოწმობა, ნათლობის მოწმობა, დიაკვნის მოწმობა, ჩემი სარეკომენდაციო წერილი (ეგ უკვე გადავეცი), ცნობა ფსიქიატრიულიდან...

დ ი ა კ ვ ა ნ ი ტ ი ტ ე
(აღშფოთებული)
ოი, წმინდაო სამებავ, ცნობა ფსიქიატრიულიდან!
კი მაგრამ, ეგ რა საჭიროა?

მ ა მ ა თ ე დ ო
როცა ვეკუთხე მაშინ ამ ცნობას არავინ ითხოვდა, ახლა რა საჭიროა-მეთქი? სწორედ ეს ვიკითხე კომისიის სხდომაზე.

დ ი ა კ ვ ა ნ ი ტ ი ტ ე
მერე მამი?

მ ა მ ა თ ე დ ო
მერე ქორეპისკოპოსმა კობამ წამოიძახა: როგორ კაცო, 21-ე საუკუნეში ახალგაზრდა კაცს მღვდლობა გადაუწყვეტია და ფსიქიატრიულის ცნობა არ წარმოვადგენინოთო?
დაიხოცნენ სიცილით კომისიის წევრები, თუმცა ეკლესიაში დაშვებული სიცილის საზღვრებს არ გასცდენილან. (ტიტე მოიღუშა. საცოდავად ჩაქინდრა თავი).
ამ საბუთის აღების ამბავს ეშველება, მაგრამ უფრო რთული პრობლემის წინაშე ვდგავართ.

დ ი ა კ ვ ა ნ ი ტ ი ტ ე
(მეისიერად თავს მაღლა ასწევს და აღელვებული წამოიძახებს)
კიდევ რა? კიდევ რა პრობლემის, ჩემო მოძღვარო?!
(თავს ისევ დახრის)

მ ა მ ა თ ე დ ო
რა და მეუფე კობამ სხვა საბუთის წარდგენაც მოითხოვა.

დ ი ა კ ვ ა ნ ი ტ ი ტ ე
(უფრო მეტად აღელვებული, თავს კვლავ ზემოთ ასწევს, ხელსაც შემართავს და შესძახებს)
კიდევ რა? კიდევ რა საბუთის, ო, ჩემო მამი?
(ისევ ჩაქინდრავს)

ამ დროს სცენის მარჯვნიდან ჩქარი ნაბიჯით შემოდის მკაცრი გარეგნობის შუახნის ქალბატონი. ამათ დანახვაზე უცებ შედგება და დააკვირდება. პაუზა. მამა თედო მოწიწების ნიშნად ლამის სკუფიას მოიხდის, მაგრამ მიხვდება, რომ მღვდლისთვის ამგვარი საქციელი შეუფერებელია და ნახევრად მოხდილ ქუდს ხელს შეუშვებს, ისე, რომ ქუდი სასაცილოდ ოდნავ შეტრიალებული რჩება.

ქ ა ლ ი

(რადაცნაირი მკაცრი სახითა და იუმორით)

აჰ, სხდომა გაქვთ სასულიერო პირებს, ჩემო ოქროს თევზებო? სურვილი მაქვს თვენთან.

მ ა მ ა თ ე დ ო

ბრძანეთ ქალბატონო შო... (ოდნავ დაიბნევა) ქალბატონო მდივან-რეფერენტო, გისმენთ.

შ ო რ ე ნ ა

ახლა სწორედ საპატრიარქოში გავრბივარ, მგონი ცოტა დამაგვიანდა კიდეც, ბევრი საკითხი გვაქვს განსახილველი, ერთ-ერთი თქვენიც არის, გამომყევით. (მოძრაობას აგრძელებს სცენის მარცხენა მხარეს. მამა თედო, ისე, რომ ტიტესკენ აღარც კი იხედება, მუნძულით მისდევს. კულისებიდან ისმის შორენას ხმა) თქვენ კი, დიაკვანო ტიტე... თქვენთან დაკავშირებით მოგვიანებით ვიმსჯელებთ.

ტიტე მარჯვენა მხარეს, ავანსცენაზე მხრებაჩეჩილი, ხელებს წინ გამოსწევს, თავს ზეცისკენ შემართავს და დაიწყებს:

დ ი ა კ ვ ა ნ ი ტ ი ტ ე

არადა გუშინ დიდი ტაძრის საკურთხეველში, ოქროპირის ტერფს რომ ვემთხვებო, გული სულიწმინდით ამევსო და მქონდა ხილვა, წმინდა მამა თეთრ სამოსში გამომეცხადა და აღმითქვა: ჩემო ტიტე, რატომ დარდობ მღვდლად კურთხევისთვის? ზეცაში უკვე კურთხეულიც ხარ და გამორჩეულიც, დედამიწაზე კი რა მნიშვნელობა აქვსო. ვაგლახ, რომ არ შემძლია იმის განჭვრეტა, რაც ცაში ხდება, მე დედამიწის კვერცხი მირჩევნია ზეციურ ქათამს!

(შეტრიალდება და ასე მხრებაჩეჩილი სცენას მარჯვენა მხრიდან დატოვებს.)

პ ა რ ო დ ო ს ი

სცენაზე შემოდის შავი კვართით შემოსილი ქორო. ეპისკოპატი. 12 ეპისკოპოსი. შავ კვართებზე ოქროსფერი მცირე ომოფორები აქვთ მოსხმული და ერთმანეთში ლაპარაკობენ. ყაყანია. სცენის სიღრმეში იღანდება სკამზე ჩამომჯდარი რამდენიმე მღვდელი, მათ შორის სასაცილოდ ქუდმოქცეული მამა თედო. უცებ სცენის მარჯვენა მხრიდან, მეუფე (ქორეპისკოპოსი) კობასთან ერთად, ცარიელი ფურცლით ხელში, ჩნდება შორენა. ეპისკოპატი ჩუმდება და მისკენ მიტრიალდება. საუბრის დროს ცალი ხელით ფურცელს ჰაერში მსუბუქად აფრიალებს.

შორენა

ეს კაცი (თითს მამა თედოსკენ გაიშვერს) იძულებულს გვხდის, ეპისკოპოსად დავნიშნოთ!

ქორო

დავნიშნოთ! დავნიშნოთ! დავნიშნოთ!

შორენა

გადამრევთ თქვენ მე, დავნიშნოთ კი არა, გამოვარჩიოთ!

ქორო

გამოვარჩიოთ! გამოვარჩიოთ! გამოვარჩიოთ!

შორენა

მე წინააღმდეგი არა ვარ, მგონი იმსახურებს კიდეც. თანაც დაწერილია: თუ ვინმეს ეპისკოპოსობა სურს, კეთილი საქმე სდომებიაო, მაგრამ ცნობა?.. (ფურცელს ააფრიალებს) ცნობის ფურცელი ხომ...

ქორო

ცნობა! ცნობა! ცნობა!

შორენა

რამდენჯერ უნდა გითხრათ, ნუ მაწყვეტინებთ-მეთქი...

ქორო

(კვლავ აწყვეტინებენ) მეთქი! მეთქი! მეთქი!

შორენა

(კმაყოფილი, უჩვეულო კეთილგანწყობილი გაბრაზებით გაჰყვირის)
ეეეეე! თუთიყუშები ხართ რა! თუთიყუშები და მეტი არაფერი!
(დემონსტრაციულად ჩაიქნევს ცარიელ ფურცლიან ხელს და მარჯვენა მხრიდან ჩქარი ნაბიჯით გადის, ისე რომ მეუფე (ქორეპისკოპოსი) კობა ძლივს ეწევა. ფეხებში ანაფორა ებლანდება).

ქორო

(მაინც გააგრძელებს) თუთიყუშები! თუთიყუშები! თუთიყუშები!

დარაზმული ეპისკოპატი ჯარისკაცებივით მწყობრად მარჯვენა მხრიდან ტოვებს სცენას, თან იმეორებს რეფრენივით: თუთიყუშები! თუთიყუშები! თუთიყუშები! ხმა ნელ-ნელა მიიღევა და ბოლოს შეწყდება. სცენა ცარიელდება და უცებ მარჯვნიდან ქორეპისკოპოსი კობა და შორენა სცენაზე ბრუნდებიან.

მეუფე კობა

მართლა მოკვლას უპირებდნენ თუ შენ გააჩალიჩე?

შორენა

აზრზე არა ხარ ხომ, რა ხდება? (ჩაეცინება).

მეუფე კობა

ჰო, მაგრამ, ფრთხილად უნდა ვიყოთ, ათასი თვალია ჩვენკენ მომართული, შეიძლება ახლაც გვისმენენ (პირჯვარს გადაისახავს).

შორენა

ჩვენმა უშიშროების კაცმა დამირეკა, აქ ყველაფერი დალაგებულია, კაი სროკს მიაჩქობენო.

მეუფე კობა

კარგია, იმსახურებს! სახარების მიხედვით, გაფიქრება ქმედების ტოლფასია.

შორენა

ისე, მართლა რომ მოეკლათ?

მეუფე კობა

ხომ არ უბერავ, მართლა როგორ უნდა მოეკლათ?!

შორენა

ზოგჯერ ვფიქრობ, იმ იდიოტს მართლა განზრახული ხომ არ ჰქონდა-მეთქი მთავრის მოწამვლა (ორივე გაიცინებს)

მეუფე კობა

ღმერთმა დაიფაროს (კვლავ პირჯვარს გადაიწერს) ჩვენი წმინდა მამა, მხსნელი, უკანასკნელი ჟამის ახალი მოციქული უფლისა, მთავარეპისკოპოსი თბილისისა, მცხეთისა, ცხუმ-აფხაზეთისა და სრულიად საქართველოსა. (მცირე პაუზა.) ისე, მართლა რომ მოეკლათ?

შორენა

ვის უნდა მოეკლა, იმ იდიოტს?

მეუფე კობა

არა. აი, ვთქვათ წმინდა მიქელ-გაბრიელს. აუუუ, რა მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდით ბოზი შ...

შორენა

(აწყვეტინებს) კარგი რა, მხედრონელი აღარ ხარ, ბოლობოლო საპატრიარქოს ქონებას განაგებ!

მეუფე კობა

ჰო, ზოგჯერ მაინც წამომცდება ხოლმე. მრევლთანაც შევრცხვი რამდენჯერმე. არა, მართლა რომ მიიძინოს უფლისმიერი ძილით ჩვენმა წმინდა მამამამ, რა ვქნათ? სდიე მერე ამდენ ბრიყვს ცალ-ცალკე. მოსაყდრის ამბავი სასწრაფოდ მოსაგვარებელია.

შორენა

ჰო, მაგ ბრიყვებში ბევრი მოღალატეა. რა ვქნა აღარ ვიცი, ყველანაირად ვცდილობ, მაგრამ ვერ შევასმინე. ორანჟერეაში ჯდომასა და საგალობლების ღიღინში ატარებს დარჩენილ ცხოვრებას, არაფერი აღარ აინტერესებს.

მეუფე კობა

უნდა დავაინტერესოთ. რამე მოიფიქრე.

შორენა

მოფიქრებული მაქვს.

მეუფე კობა

რა მოიფიქრე?

შორენა

შიო!

მეუფე კობა

რაა?

შორენა

რა და შიოს უნდა დაველაპარაკო.

მეუფე კობა

შიო ვინ ჯანდაბაა?

შორენა

ვინ და პაპას თუთიყუში.

(პაუზა. კობა გაკვირვებული უყურებს და მხრებს აიჩეჩავს. შორენა განაგრძობს)

შორენა

ხომ იცი, მაგას თავის თუთიყუში, აი, იქ, ორანჟერეაში რომ ჰყავს, ყველას ურჩევნია, სულ ელაპარაკება, ამბობს, არავის აღარ ვენდობი, ეს არის ჩემი ნამდვილი მეგობარი, დარდის გამზიარებელიო.

მეუფე კობა

კარგი რა! თუთიყუში არა იხვი (გაეცინება).

შორენა

შენ იცინე და ქორეპისკოპოსი რომ ხარ სწორედ შიოს დამსახურებაა.

მეუფე კობა

ეგ როგორ? მოყევი აბა.

შორენა

როგორ და, როდესაც რაღაცას ვთხოვ და არ მისმენს, სადამოობით შევიპარები ხოლმე ორანჟერეაში, ვუმეორებ და ვუმეორებ შიოს სათხოვარს, ასე გრძელდება კვირაობით, მერე ერთხელაც, როდესაც ეს საკითხი აღარც კი ახსოვს, თუთიყუში ჩაილაპარაკებს, ეს გაიგონებს, განცვიფრდება, დამიძახებს და მეუბნება, ზეცის სასწაულია, ჩიტმა მომიტანა ამბავი, ესა და ეს მითხრაო. მეც ვეუბნები, ჭეშმარიტად ღვთისგან არის, ერთხელ ვირიც ხომ ალაპარაკა, აუცილებლად დაუჯერეთ-მეთქი და ყოველთვის ასრულებს. შენს სახელსაც ასე ვუმეორებდი. ხომ იცი, პაპა ხევისბერივით ცრუმორწმუნეა (ირონიულად ჩაეცინება).

მეუფე კობა

ვაა, გადარევ ადამიანს, რიშელიე და ტალეირანი შენთან შედარებით სასაცილო თოჯინები არიან, ბოზი შვი...

შორენა

(აწყვეტინებს) კარგი რა, რამდენჯერ გითხრა, აკონტროლე საუბრის მანერა, ქორეპისკოპოსი ხარ ბოლობოლო!

(ამ დროს სცენაზე მარცხენა მხრიდან შემოვა ადამიანი. კობასთან მივა, ცალ ფეხზე დაიჩოქებს, ხელზე ემთხვევა და ეტყვის: დამლოცე მეუფეო! კობა დაჩოქილს თავზე ხელს დაადებს: ღმერთმა დაგლოცოს, შვილო ჩემო! ეს ადამიანი სცენას მარჯვენა მხრიდან დატოვებს)

შორენა

აგერ, რომ გეუბნები ფრთხილად-მეთქი. ჰო, მართლა, იმ ორ ანთებულ იდიოტს რა ვუქნათ?

მეუფე კობა

ვის გულისხმობ?

შორენა

აი, იმათ რა, მამა თედოს და მის მოწაფეს.

მეუფე კობა

ააა, ჰო, მახსოვს. ტიტეს საკითხი კომისიაზე დააყენა პატივცემულმა, კარგად კი გავერთე. ტიტე იქით იყოს და, თავად მაგ ცოლგანაქცევ ასკეტ ასკლეპიოსზე რას ფიქრობ, გვიღალატებს? (იცინიან)

შორენა

(სწრაფად უპასუხებს) აბა რას იზამს, მაგრამ ამ ეტაპზე ჩვენი კაცია. მომეწონა ასკეტი ასკლეპიოსი (გაეცინება).

მეუფე კობა

მაშინ რაღას ველოდებით, გამოვარჩიოთ და ვაკურთხოთ. ის ტიტე კი რაღაც არ მევასება როჟაზე, სამჯერ მყავს ნანახი, ცოტა გავაწვალეთ.

შორენა

გავაწვალოთ, მე თანახმა ვარ.

მეუფე კობა

კომისიაზე ისეთი საბუთების წარდგენა მოვთხოვე, რომ მგონი დიდი განსაცდელი მოუწყვე მოსწავლისა და მასწავლებლის რწმენას (იცინიან).

შორენა

დონ-კიხოტსა და სანჩოს ეპისკოპოსობა და მღვდლობა მოუნდომებიათ. უნდა იგრძნონ, რომ ქრისტეს გზა ია-ვარდით არ არის მოფენილი, ეკლიანია. იდეისთვის ზოგჯერ ქარის წისქვილებსაც უნდა ებრძოლო.

მეუფე კობა

იგრძნონ, იგრძნონ. შენ თუთიყუშის საქმეს მიხედე, მაგათ მე მოვუვლი, ბოზი შვილ...

შორენა

(აწყვეტილებს) ეჰ, არა შეჯდა მწყერი ხესა, თუ როგორც არის. მოკლედ, დავიშალებთ, დრო ცოტა გვაქვს, საქმეს მივხედოთ (და ორივენი სცენას ტოვებენ მარცხენა მხრიდან).

პირველი ეპისოდინი

სცენის შუაში, უკანა მხრიდან, ეკლესიის ღია კარიდან გამოდიან მამა თედო და დიაკვანი ტიტე. შორიდან ისმის ზარების ხმა. ღვთისმსახურება ეს-ესაა დაასრულეს. ტაძართან ახლოს, იქვე, ეზოში, სცენის შუა ნაწილში სკამზე ჩამოსხდებიან. მამა თედოს თეთრი სლაჯური კვართი აცვია, ფეხებთან შემოვლებული ოქროსფერი არშიით. კისერზეც შესაფერისი ოლარი აქვს ჩამოკიდებული, მკერდზე კი ოქროს ჯვარი ჰკიდია, რომელზეც მარცხენა ხელი მტკიცედ უკიდია. ტიტეს დიაკონის მოიხფრო შესამოსელი აცვია, მარცხენა მხარზე შესაბამისი გინგილა აქვს გადაკიდებული.

დიაკვანი ტიტე

ო, ჩემო მამი, რა მადლია ასეთი თქვენზე,

რა დიდებულად წარიმართა ღვთისმსახურება!

და მერე სიტყვა...

ქადაგება იყო ისეთი...

რას შევადარო?

ენა დაშვრა, გული გამხნევდა.

მამა თედო

ჩემო შვილო, შენი დამსახურებაც არის ასეთი ლამაზი რომ გამოვიდა ლიტურგია, ისეთი ენთუზიაზმით მონაწილეობდი, ისეთი აღტყინებული... როგორც წმინდა გრიგოლ პალამა იტყოდა, ღვთაებრივი ენერგიებით ამავსე.

დიაკვანი ტიტე

ის რა კარგად თქვი, ჩემო მამი:

ეკლესიაში სწეულებამ შემოაღწია,
სიფხიზლე ჰმართებს ყოველ ქრისტიანს.
თუ არ ვიმკურნალეთ თავად ქრისტე მოიკვეთს სწებოვან ნაწილს,
ჯანსაღი ნაწილის გადასარჩენად
და ძალიან დიდი და მტკივნეული იქნება ეს ქირურგიული ჩარევაო!
განა მართლაც განსაცდელში არ არის ჩვენი დედა ეკლესია?
უფლის სხეულს ქაჯები შემოსევინ,
ცხვრის ფორმაში ჩაცმული მგლები.
ქრისტეს მისტიკური სხეული დასწეულებულია:
„კაცებს აღარ გვაქვს მარღვებში სისხლი
ჩვენს ქალებს რძე და ცრემლი დაუშრათ!“

მ ა მ ა თ ე დ ო

რა კარგად ჩამოაყალიბე ყველაფერი, დიდ რწმენას ვხედავ შენში, ჩემო ტიტე!

დ ი ა კ ვ ა ნ ი ტ ი ტ ე

ეჰ, ჩემო მამი,
თქვენ კი ხედავთ ჩემში დიდ რწმენას,
მაგრამ იქ ზევით (თითს ეკლესიისკენ და თან ზეცისკენ შემართავს)
ყველა ასე როდი მიყურებს:

„ტლუმ გაიხარა, თავის თავს ვერ ცნობს, მეორე ტლუმში,
მართალი კაცი ჩაგრული და პირაკრულია“.

(ამ დროს გულის ჯიბის საკინძეს გაიხსნის, ფურცელს ამოაძვრენს და მამა თედოს
გაუწვდის)

აგერ მამიკო, ის საბუთი საგიჟეთიდან:

მეუფე კობას განსაგმირად სულ-ჯანმრთელი ვარ!

მ ა მ ა თ ე დ ო

(ჯვარს ხელს გაუშვებს. ფურცელს გამოართმევს, ათვალიერებს და ჩაილაპარაკებს):

ეს ძალიან კარგია, ჩემო ტიტე, ოღონდ არასაკმარისი.

(ფურცელს დაკეცავს და მარცხენა ხელის მუჭში მოიქცევს)

დ ი ა კ ვ ა ნ ი ტ ი ტ ე

(თავაწეული) რა ჩემო მამი? კიდევ რაა? კიდევ რამეა?

(მოიხრება. თავს ხელებში ჩარგავს. იდაყვებს მუხლებზე დაილაგებს და ჩაფიქრდება)

მ ა მ ა თ ე დ ო

ძალიან კი მეუხერხულება ამის თქმა, ჩემო შვილო, მაგრამ მეუფე კობამ თქვა, რაღაცნაირი
მანერები აქვსო.

დ ი ა კ ვ ა ნ ი ტ ი ტ ე

(ნაზად წარმოთქვამს) ო, ჩემო მამი, რანაირი რაღაცნაირი?

მამა თედო

რა ვიცი, მამაკაცისთვის შეუფერებელი, მეტისმეტად დახვეწილი და უცნაურიო. და შემდეგ მოაყოლა: რადგან ეკლესიაში ათასგვარმა სწეულებამ და ბიწიერებამ შემოაღწია...

(თავს ჩაღუნავს და ხმადაბლა დარცხვენილი ჩაილაპარაკებს): მოკლედ, მოკლედ... შვილო ჩემო, ჩვენ, ვისაც მღვდლობა ან ეპისკოპოსობა მოგვიწადინებია... პროქტოლოგის ცნობას გვთხოვენ.

დიაკვანი ტიტე

(ჯერ მამა თედოს ბოლომდე სიტყვაც არ აქვს დასრულებული, ტიტე თავს ზემოთ ასწევს, ხელებსაც აღმართავს და აღშფოთებული სასაცილოდ წამოიძახებს. შესაძლოა მამა თედომ კარგად ვერც გაარჩია):

პირზე ხომ გვაღვეს,

ნუთუ ტრ... საჯდომებზეც ბოქლომები უნდა დაგვადოთ? – ჩემო რეზიკო!

(თავს ისევ ხელებში ჩარგავს)

მამა თედო

(მხარზე ხელს დაადებს და გაოგნებული პათეტიკურად მიუგებს)

ხო მშვიდობაა, ჩემო შვილო, ასე ძალიან რამ აგაღელვა? თან ასეთი ბილწსიტყვაობა შენგან არასდროს მომისმენია! ახლა ვფიქრობ, ხომ არ მომესმა-მეთქი? კარგად ვერც გავიგონე.

(მოულოდნელად ტონს შეიცვლის) და რეზიკო ვინ არის?

დიაკვანი ტიტე

(პაუზა. პასუხს ჯერ არ სცემს. ტრანსშია. მერე ნელ-ნელა თავს ზემოთ ასწევს, მამა თედოს შეხედავს და დაიწყებს):

არა, მამაო, არ მოგესმათ,

ვთქვი, ის, რაც არ ვთქვი!

ან შესაძლოა სულ პირიქით

არ ვთქვი ის, რაც, ვთქვი!

ან: არ ვთქვი რაც, არ ვთქვი!

მემგონი უფრო:

ვთქვი ის, რაც ვთქვი!

(ამ დროს მამა თედო ცნობას ფსიქიატრიულიდან ხელახლა გაშლის, ჩააშტერდება და გაკვირვების ნიშნად მხრებს აიჩეჩავს)

(ტიტე ფეხზე წამოვარდება და აგრძელებს):

მოკლედ, მამაო, აი, რა ვთქვი,

მაინტერესებს:

ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდვნის, თუ, თუ...?

(და კვლავ წამოიძახებს)

ნუთუ საჯდომებს ბოქლომები უნდა დავადოთ?!

„აი, რატომ აღარა აქვს ჩვენს კაცებს მარღვებში სისხლი,

აი, ამიტომ, რძე და ცრემლი დაუშრათ ქალებს,“ – ჩემო რობიკო!

(ამას იტყვის და თან ნელ-ნელა მარცხენა მხარეს კულისებისკენ დაიძვრება, მამა თედო გაშლილი ფურცლით ხელში გაჰყვება და გულუბრყვილოდ ეკითხება)

მ ა მ ა თ ე დ ო

ხომ მშვიდობაა, ხომ კარგად ხარ, ტიტე, შვილო? ...და ვინ არის რობიკო? (გადიან)

მ ე ო რ ე ე პ ი ს ო დ ი ო ნ ი

(ამ დროს სცენაზე მარჯვნიდან მდივან-რეჟერენტი შორენა და მეუფე კობა შემოდიან. შორენას ხელში ბიბლია უჭირავს)

მ ე უ ფ ე კ ო ბ ა
იყავი შიოსთან?

შ ო რ ე ნ ა
დიახ, გახლდი.

მ ე უ ფ ე კ ო ბ ა
მერე რაო შიომ?

შ ო რ ე ნ ა
საქმე ცუდად მიდის. თუთიყუშიც რომ აგიმხედრდება, მაგის დედაც... მეც გინება დამაწყებინე.
ვერაფერი შევასმინე, ჩემი ფეხები.

მ ე უ ფ ე კ ო ბ ა
რას ჰქვია ვერ შეასმინე, უხეშად მოგმართა? (გაეცინება)

შ ო რ ე ნ ა
შენ ილადავე და რამდენჯერაც გავუმეორე „მოსაყდრე“ იმდენჯერ „არა“-თი მპასუხოვდა. (შორენა თუთიყუშის მიბაძვით გაიმეორებს) ვეუბნები: „მოსაყდრე“, „მოსაყდრე“, „მოსაყდრე“, მპასუხოვს: „არრა“, „არრა“, არრა“.

მ ე უ ფ ე კ ო ბ ა
რა ხდება, აზრზე ვერ მოვდივარ.

შ ო რ ე ნ ა
ვერ ხვდები ხომ? უნდა დაამუნჯო ეს შიო, შენ რომ ქორეპისკოპოსი გაგხადა. რა ხდება და ჩვენამდე ვილაცას უმუშავია, ვილაცამ ტვინი გამოურეცხა.

მ ე უ ფ ე კ ო ბ ა
ტვინი გამოურეცხა? (გაეცინება)

შ ო რ ე ნ ა
და იცი ვინ?

მ ე უ ფ ე კ ო ბ ა
ვინ?

შორენა

როდესაც იმედგაცრუებული გამოვბრუნდი და კარი გამოვადე, მოულოდნელად მომამახა: „მეუფე პეტრე, მეუფე პეტრე“-ო! ალბათ ჩვენამდე დაიარებოდა ორანჟერეაში... და ამანაც წამოაყრანტალა.

მეუფე კობა

პეტრე? მაგას მოვუტ...

შორენა

(აწყვეტინებს) კარგი ახლა, მაინც ღვთისმსახურია.

მეუფე კობა

ეგ ისეთივე ღვთისმსახურია, როგორც მე...

შორენა

(კვლავ აწყვეტინებს) ჰო, დაახლოებით ერთი დონე ხართ (გაეცინება).

მეუფე კობა

სასაცილოდ გვაქვს საქმე? მერე რა მოიმოქმედე?

შორენა

რა და გათენდა თუ არა მამამთავართან გავეშურე.

მეუფე კობა

პაპასთან?

შორენა

ჰო. და ვუთხარი: ჩემო მამა და წმინდანო, ესქატოლოგიური ჟამის უკანასკნელო მოციქულო, წუხელ სიზმარი ვნახე, რომელმაც ძალიან ამაღელვა და აუცილებლად მიიწვიოდა გიამბო, რადგან თვით ანგელოზმა, რომელიც გამომეცხადა, მითხრა, დიდ ივერიელ მამას უამბე, მხოლოდ მას ძალუმს ამ სიზმრის ახსნაო. ჰოდა, ორანჟერეაში სავარძელში ზის აუღელვებლად, არც განძრეულა, თვალები დახუჭული აქვს, – მიაშბეო, – მშვიდად ჩაიბუტბუტა. კი მეუხერხულება ჩემო უნეტარესო, მაგრამ მთავარანგელოზი მიქაელი და გაბრიელი იდგნენ ჩემ წინაშე, ამ დროს თქვენც გამოჩნდით, თითქოს მათ უახლოვდებოდით, ერთი ხელი ერთისკენ გქონდათ გაშვერილი, მეორე კი – მეორისკენ. ისინი გეუბნებოდნენ, მანამდე ვერ ჩაგჭიდებთ ხელს და ვერ შეგიყვანთ წმინდა სასუფეველის წიაღსა შინა, სანამ მანდ დედამიწაზე უკანასკნელ საქმეებს არ მოაგვარებო. თქვენ კი ჯიუტად მიილტვოდით მათკენ, ისინი კი განილტვოდნენ თქვენგან... და ამ ჭირვეულობის დროს საშინლად გატანჯულს გამომეღვიძა და თქვენთან გამოვიქეცი ამ ყოველივეს სათქმელად-მეთქი. კვლავ არ განძრეულა, მშვიდად მომიგო, როგორც ვატყობ სიზმარს ღრმა სიმბოლური მნიშვნელობა აქვს, ჩემგან რაღაცის მოგვარებას მოელიან და ამის გამო ნეტარებაზე უარს მეუბნებიან. ვერ ვხვდები რა უნდათ. საპატრიარქოსთან არსებულ სიზმრების ახსნის დეპარტამენტის სპეციალურ კომისიას მიმართე და დასკვნა წარმოადგინეო.

მეუფე კობა
მერე რა ქენი?

შორენა

რას ვიზამდი, იმ დღესვე გავემართე დეპარტამენტში. ხომ იცი, იქ თავმჯდომარედ ჩვენი „ოქროს თევზია“. სასწრაფოდ დამიწერეს დასკვნა, სადაც ეწერა, რომ ამ პროვიდენციული სიზმრის მიხედვით მიქელ-გაბრიელი პატრიარქისგან ღირსეული მემკვიდრის დასახელებას მოითხოვსო. ფურცელი ავიღე და სასწრაფოდ გავემურე ორანჟერეაში. წამიკითხეო, მომიგო. მეც წავუკითხე. ირონიულად გაიღიმა, მანამდე ასეთი არასდროს მინახავს და ის იყო რაღაცის თქმა დააპირა, რომ შიომ მოულოდნელად ჩამოგვძახა: „გამოცხადება ოცდაერთი რრვა“, „გამოცხადება ოცდაერთი რრვა“, „გამოცხადება ოცდაერთი რრვა“... აღარ ჩუმდებოდა, ჰოდა, პაპამ მოულოდნელად ამომხედა და მითხრა: ჩემო შორენა, იცი რა წერია ბიბლიის წიგნის ამ ნაწილში? არა, თქვენო უწმინდესობავ-მეთქი, ჰოდა, წადი და ნახეო. რაღა მექნა, ხელზე ვემთხვიე და გაწბილებული წამოვედი.

მეუფე კობა
მერე და რა წერია მაგ დაწყველილ მუხლში?

შორენა

(ცივად გაუწვდის ბიბლიას)
აჰა და თავად ნახე.

(მეუფე კობა წიგნს გამოართმევს, გადაშლის, ფურცლავს და ფურცლავს, ხან სად და ხან სად, ეძებს მუხლს და ვერ პოულობს ვერაფრით. ხან წაღმა უჭირავს წიგნი და ხან უკუღმა, თხა და გიგოსავითაა. შორენა წიგნს ხელიდან გამოჰგლეჯს)

შორენა

ნეტა ცხოვრებაში ერთი მუხლი თუ მაინც წაგიკითხავს, გადაგიშლია საერთოდ?
(სწრაფად იპოვის მუხლს, მიაწვდის, თან იმ ადგილზე თითი უდევს)
აი, აქ წაიკითხე.

მეუფე კობა

(ხმამაღლა ბორძიკით კითხულობს)
ყოველთა ცრუთა ხვედრი ცეცხლის ტბაშია... – რისი თქმა უნდა იმ ბრიყვ თუთიყუმს, ცრუები ვართ და ჩვენი ხვედრი გეენაშია?

შორენა

ყოჩად! კარგი რა, იმან რა იცის, ესეც მეუფე პეტრეს ამბავია. სასწრაფოდ უნდა ჩავაგონოთ შიო-თუთიყუმს, პაპას მარტო მაგის სჯერა.

მეუფე კობა

ჰოდა, გააგრძელე მერე მუშაობა, ცოტა დრო კიდეც გვაქვს.

შორენა

ჰო, მართლა, იმ ორ იდიოტს რა ვუყოთ?

მეუფე კობა

ვინ ორ იდიოტს?

შორენა

აი, იმათ რა, ასკეტ ასკლეპიოსსა და მის მოწაფეს?

მეუფე კობა

უჰ, ეგენი სულ დამავიწყდა. ამ დღეებში ვაპირებთ კომისიის სხდომის გამართვას და მაგათაც დავუძახებთ, ვნახოთ რა საბუთებს წარმოადგენენ ბიჭები.

შორენა

ძალიან არ გააწვალო, რწმენას ნუ დაუნგრევ უმანკო მტრედებს. (გაეცინებათ)

მეუფე კობა

ვნახოთ როგორ წარმოადგენენ თავს სხდომაზე.

(სცენიდან გადიან)

მესამე ეპისოდონი

სცენის მარჯვენა მხარეს, ორ რიგად, ჩნდება პირველი ნახევარგუნდი. ეპისკოპატის ნაწილი. შვიდი ეპისკოპოსი. რომლის წინა რიგში, ორი ეპისკოპოსის შუაში, ქორეპისკოპოსი იაკობიც დგას. უკანა რიგში ოთხნი დგანან. სცენის სიღრმეში ხის გრძელი სკამი დგას, სადაც თავჩალუნული ახალგაზრდა მწერალი კაცი ზის. თავს მაღლა არ სწევს. უცებ მარცხენა მხრიდან აღელვებული შორენა შემოვარდება. ხელში ორი წიგნი უჭირავს, ლაშა ბუღაძის „მესამე სართული“ და ოთარ ჯირკვალიშვილის „კანფეტი“.

შორენა

გახსოვსთ ეს ვიგინდარა? (ხელს ჩამომჯდარი მწერლისკენ გაიშვერს)

პირველი ნახევარგუნდი

ვიგინდარა! ვიგინდარა! ვიგინდარა!

შორენა

(რუსულად ჩაილაპარაკებს) ტალანტლივი ნო სვოლოჩ!

პირველი ნახევარგუნდი

გარეწარი! გარეწარი! გარეწარი!

შორენა

(გაბრაზებული) ნუ მაწყვეტინებთ!

აი, ამან (სკამზე ჩამომჯდარი ახალგაზრდისკენ მიტრიალდება და ხელს გაიშვერს, თან წიგნს აღმართავს და თითს უკაკუნებს) დაგვიწერა მაშინ „პირველი რუსი“, ჩვენი

სიწმინდეები შეურაცხველი და კარგადაც ვაზღვევინეთ. როგორც ჩანს, თანამოაზრეებიც გამოსჩენია (შემობრუნდება. ახლა მეორე წიგნს, „კანფეტს“ გადაფურცლავს, ჩახედავს და ირონიულად ჩაილაპარაკებს), ეკლესიის მტრები!

პირველი ნახევარგუნდი
მტრები! მტრები! მტრები!

შორენა

(ხალხისკენ მიტრიალდება)

ამბობენ, რომ ჩვენ ახლა ერთ-ერთი ვიგინდარას ინტერესებს ვემსახურებით, მის პიესაში ვმონაწილეობთ.

(პაუზა. უხერხული დუმილი)

შორენა

ისე, საერთოდ ნათქვამია, რომ სამყარო თეატრია და ჩვენ ყველანი მსახიობები ვართო, მაგრამ „არა, ძვირფასო უილიამ, სამყარო სამყაროა, თეატრი თეატრია!“ (უცებ პირველი ნახევარგუნდისკენ მიტრიალდება), არ მეთანხმებით?

პირველი ნახევარგუნდი
გეთანხმებით! გეთანხმებ...

შორენა

(აწყვეტინებს)

მართლა თუთიყუშები ვიქნებოდით, განგება რომ გვიგეგმავდეს ყველაფერს და (ირონიულად) არც მე ვიქნებოდი ასეთი წარმატებული (ხალხისკენ მოტრიალდება): თქვენი წყალობით, მეგობრებო, თქვენი წყალობით!

(შემდეგ ლაშა ბულაძის წიგნის ფურცვლას დაიწყებს, იქიდან ფურცელი გადმოუვარდება, აიღებს, გაშლის, ჩახედავს და იტყვის)

შორენა

მამა თედო, მამა თედო, რა გაგიმართლა! ექიმის მიერ გაცემულ ცნობაში ყველაფერი რიგზეა.
გამოვარჩიოთ?

პირველი ნახევარგუნდი
გამოვარჩიოთ! გამოვარჩიოთ!

შორენა

და ბარემ ვაკურთხოთ კიდეც, სამომავლოდ შეიძლება წმინდა სინოდში სწორედ მისი ხმა იყოს გადამწყვეტი. ვენდოთ?

პირველი ნახევარგუნდი
ვენდოთ! ვენდოთ! ვენდოთ!

შორენა

ძალიან კარგი. შემოიყვანეთ!

(ამ დროს სცენის სიღრმეში გამოჩნდება მამა თედო. ბერის შავ შესამოსელშია გამოწყობილი. თავზე კუნკულ-ბარტყული ახურავს. ეპისკოპოსების ნახევარგუნდთან მივა. ქორეპისკოპოს კობას წინ დაიჩოქებს. კუნკულს მოიხდის და იქვე დადებს. მეუფე კობა თავზე ხელს დაასხამს და ამაღელვებლად შესძახებს)

მეუფე კობა

ღირს არს! – აქსიოს!

პირველი ნახევარგუნდი

აქსიოს! აქსიოს! აქსიოს!

(შორენა ხელით ჟესტს გააკეთებს და ნახევარგუნდი და მამა თედო (ახლა უკვე მეუფე) მარჯვნიდან ტოვებენ სცენას. რჩებიან შორენა, კობა და ის ყმაწვილი სკამზე)

მეუფე კობა

ეს ყველაფერი, ყველაფერი, მაგრამ იმ ამბავზე რა ხდება?

შორენა

ტელევიზორს არ უყურე?

მეუფე კობა

აღარ ვუყურებ, მომბეზრდა ლანძღვის მოსმენა, სულ ერთი და იგივეს გაიძახიან: „ფარსი“, „დადგმული სპექტაკლი“ და ა. შ.

შორენა

წედან არ ვამბობდი, რომ ყველაფერი სპექტაკლია? დიდი ამბავი ერთი, ჩვენც თუ დავდგით. მგონი ურიგო რეჟისორები არ უნდა ვიყოთ, რას იტყვი? (გაეცინებათ)

მეუფე კობა

ჰო, პაპას სკოლა... აღარ იტყვი, რა მოხდა?

შორენა

რა და მკვლელობის მცდელობისთვის ცხრა წელი მიაჩქევს. ახლა უკვე მთელი სინოდი ჩვენს მხარეზეა, მილოცავენ, გეგონება ბოროტი დედოფალი იზებელი ვიყო. (გაეცინებათ) ეპისკოპოს პეტრეს თუთიყუშის იმედილა აქვს.

მეუფე კობა

ვერ გადმოიბირე?

შორენა

პეტრე?

მეუფე კობა
რა პეტრე, თუთიყუში.

შორენა
არ გამახსენო. მთელ ღამეებს ორანჟერეაში ვათენებ, ვუმეორებ და ვუმეორებ „მოსაყდრე“,
“მოსაყდრე“, მოსაყდრე“, ისიც გაიძახის: „სირცხვილი“! „სირცხვილი“! „სირცხვილი“!
მაგრამ მგონი შევასმინე.

მეუფე კობა
მართლა?

შორენა
გუშინ პირველად წამოაყრანტალა „მოსაყდრე“, მანამდე სულ „არრა“, „არრა“-ს
გაიძახოდა. ახლა მთავარია პაპას ჩამოსძახოს მაღლიდან და სინოდის სხდომაზე
წამოაყრანტალოს, ეგ ხომ ყველა სხდომას ესწრება.

მეუფე კობა
(პირჯვარს გადაიწერს)
დიდება უფალს!

შორენა
(ხელებს აღაპყრობს, ზეცას ახედავს) ამინ!

მეუფე კობა
მოკლედ, შენ მუშაობა გააგრძელე, ხვალ კომისიის სხდომა მოვიწვიე, მეუფე ასკლეპიოსის
მოწაფის საქმე უნდა განვიხილოთ, საბუთები მოუგროვებიათ.

შორენა
მერე რას აპირებ?

მეუფე კობა
საბუთებს უკვე გავეცანი, მგონი ცოტა ხნით კიდევ დავატორმუზებ, ტიტე ბერკეტია,
შვილივით უყვარს ასკლეპიოსს, თორემ ხომ იცი, როგორ ხდება ხოლმე?

შორენა
როგორ?

მეუფე კობა
როგორ და ადამიანი თავისას რომ გაინაღდებს, გიკიდებს.

შორენა
მაგ სიბრძნეს მხედრიონში ეზიარე? (გაეცინება)

მეუფე კობა
(ცინიკურად) არა, საპატრიარქოში.

შორენა

კარგი, წავედი შიოსთან. შენ სხვა გზით წადი.

მეუფე კობა

მოიცა. ამას რა ვუქნათ (ხელს სკამზე ჩამომჯდარი მწერლისკენ გაიშვერს), რომ ჩამომჯდარა აქ და ისმენს ყველაფერს?

შორენა

მოვიშოროთ?

მეუფე კობა

კიდევ რამე არ დაგვიწეროს (გაეცინებათ)

შორენა

ნეტაი შენ, წეროს და იკითხოს, ვინ უსმენს. მწერლების სერიოზულად აღქმა არც შეიძლება, რეალობას მოწყვეტილი ხალხია.

მეუფე კობა

კარგი, კარგი, წავედით.

(ერთი მარჯვნიდან დატოვებს სცენას, მეორე – მარცხნიდან. ის ახალგაზრდა მწერალი (ლაშა ბულაძე) ფეხზე წამოდგება. მაყურებლის მიმართულებით დაიძრება. ავანსცენიდან გადახედავს ხალხს, თვალს მოავლებს დარბაზს. მიაშტერდება. პაუზა. მხრებს აიჩეჩავს, ხელებს გაასავსავებს, ცოტა ხანს შედგება და ასე გაოგნებული სცენას მარჯვნიდან დატოვებს. გასვლისას შეყოვნდება, შემობრუნდება და ოდნავ დაბნეული ჩაილაპარაკებს):

საქ... საქარათ...

(და გადის)

მეთხე ეპისოდინი

(სცენაზე შემოდის მამა (ახლა უკვე მეუფე) თედო და დიაკვანი ტიტე)

დიაკვანი ტიტე

...მადლობა ღმერთს, ეპისკოპოსად გაკურთხეს!

გატანჯულია სული ჩემი, ჩემო მეუფე...

(უცებ შეყოვნდება, შეხედავს და განაგრძობს)

წინააღმდეგი ხომ არა ხართ მეუფის ნაცვლად კვლავაც მამა რომ დაგიძახოთ?

(პასუხს არც ელოდება, საუბარს აგრძელებს)

ამ კომისიის შეკრებამდე,

სწორად გამიგე, ჩემო მამი,

აღსარება მინდა წარმოვთქვა.

მე უფე თედო

გისმენ ტიტე, რა გაგჭირვებია, განა ჩვენი მამაშვილური ურთიერთობა მთლიანად აღსარება არ არის? ხან შენ მიზიარებ, ხან – მე.

დიაკვანი ტიტე

ეგ კი, მამაო, მაგრამ რასაც ახლა გაგიმხელ
თვალს არ უნახავს, ყურს არ სმენია და
არასოდეს გამიმხელია.

მე უფე თედო

მზად ვარ გისმინო და, და დაგეხმარო კიდევ, თუკი რამე შემეძლება, ჩემო ტიტე.

დიაკვანი ტიტე

(მოიხრება, მამა თედო კი ხელს დაადებს თავზე)
ო, ჩემო მამი, ურწმუნოება მტანჯავს, დიდი...

მე უფე თედო

(შეაწყვეტინებს) ურწმუნოება? არა მგონია, რაღაცას აზვიადებ.

დიაკვანი ტიტე

ოჰ, ჩემო მამი, ნეტავი კი ვაზვიადებდე,
როდესაც კაცის ძე მოვა, ჰპოვებს კი რწმენას დედამიწაზე?

მე უფე თედო

მაინც რაში გამოიხატება შენი ურწმუნოება?

დიაკვანი ტიტე

აი, მაგალითად, მაგალითად... ღმერთო საიდან დავიწყო?
მეხსიერებავ, ახლა უნდა იჩინო თავი.

მე უფე თედო

მაგალითად?

დიაკვანი ტიტე

მაგალითად. მაგალითად ის, ჩემო მამი,
რომ აღდგომას, იერუსალიმის დიდებულ ტამარში
ცეცხლის გარდამოსვლის ზეციური წარმომავლობის არ მჯერა!

მე უფე თედო

(თითქოს გაუკვირდა) როგორ, არ გჯერა რომ სასწაულია?

დიაკვანი ტიტე

(ჩუმად ჩაილაპარაკებს) რა ვქნა, არ მჯერა.

მეუფე თედო

(სასაცილო ინტონაციით) მერე რა, მაგის არც მე მჯერა.

დიაკვანი ტიტე

რაა?

მეუფე თედო

ჰო, ეგ უბრალო საკრამენტული რიტუალია, ღვთისმსახურების ნაწილია, ჩვეულებრივი.

დიაკვანი ტიტე

(დარბაზს მოავლებს თვალს და ხელს)

და ხალხს რომ სჯერა?

მეუფე თედო

სჯეროდეთ, მაგით რა შავდება, ან თუ არ უნდათ, ნუ დაიჯერებენ, ვინ ეხვეწებათ. მთავარია ქრისტესი და სახარების სჯეროდეთ, სასწაულზე დამოკიდებული რწმენა ქვიშაზე აშენებული სახლივითაა, სწრაფად ინგრევა. კიდევ რა გაწუხებს, ჩემო ტიტე?

დიაკვანი ტიტე

კიდევ, კიდევ რა?

ღმერთო ჩემო, შენ მომაგონე,

დღე მიიწურა, ვგრძნობ, რომ მწუხრი მიახლოვდება...

კიდევ აი ეს, ჩემო მამი, ღმერთი მიშველის...

ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ფიზიოლოგიური ნეშომპალა ვარ.

(თან ამასობაში გულის ჯიბიდან ფურცელს ამოაძვრენს, ნელ-ნელა გახსნის და მცირე ხნით ჩააშტერდება)

მეუფე თედო

ეგ რა არის, შვილო, ტიტე?

დიაკვანი ტიტე

ეჰ, დავილუპე, ჩემო მამი,

დამღუპა ჩემმა დავიწყებულმა ძველმა ცოდვებმა.

განა ბავშვები მართლა ისეთი უმწიკვლონი არიან,

რაცას ხალხი მათზე ფიქრობს?

(თან ფურცელს დაჰყურებს)

მეუფე თედო

ბავშვებზე მხოლოდ კარგს ამბობს წმინდა წერილი. თუ გახსოვს უფალმა რომ ბრძანა: გამოუშვით ბავშვები ჩემთან, მათნაირების არის ცათა სასუფეველიო?

დიაკვანი ტიტე

მახსოვს, მეუფევ, როგორ არა, რა დამავიწყებს,

მაგრამ ისიც მახსოვს „ძველი აღთქმიდან“

წინასწარმეტყველმა ელისემ რომ შეაჩვენა ორმოცი ბავშვი,

ტყიდან გამოსულ მშვიერ დათვებს დააგლეჯინა!
იცი მამაო, იმ ორმოც ბავშვთაგან ერთი მე ვიყავი.

მე უფე თედო

კარგად ვერ ვხვდები ჩემო ტიტე, რისი თქმა გინდა, იმ ორმოცდამათხუთსეულში შენ როგორ იქნებოდდი?

დიაკვანი ტიტე

ერთი ამბავი მინდა გიამბო, ჩემო მოძღვარო,
და ეს ეხება ჩემი ცხოვრების უბედურ ხანას,
ჩემს რთულ ბავშვობას.

მე უფე თედო

მიდი, მიაბზე.

დიაკვანი ტიტე

(მონოლოგი)

ჩემი ცხოვრების დასაწყისში, როდესაც მამა მომიკვდა და
პატარა ბავშვი სოფლის შარაზე დამწუხრებული მივაბიჯებდი
(მამაჩემი სახლში ესვენა), უცნაური რამე გადამხდა.

გზად მეზობელი წამომეწია და ასე მითხრა:

ტიტე, არ გინდა რომ მოინათლო, ექვსის ხარ უკვე?

და ამიტომაც ვუთხარი მე წამს... (ღმერთო, რას ვამბობ, რა შუაშია!)

წამს კი არა და მაშინ ვკითხე პირველად ჩემს თავს:

ყოფნა?.. არ ყოფნა?.. საერთოდ რა სისულელეა...

მოინათლები და ედემის მწვანე მდელოებზე გაიჩით...

უი, რას ვბოდავ, ჩემო მამი, დაბნეული ვარ, გაორებული!

(ფურცელს დახედავს)

მე უფე თედო

ნუ დაიბნევი ჩემო ტიტე, ალელვებული ხარ, ბავშვობის შთაბეჭდილებები ძალიან
ძლიერია. მერე რა მოხდა, განაგრძე.

დიაკვანი ტიტე

რა და ნათლიად შემირჩიეს მამაჩემის ძველი ძმაკაცი,
რომელიც სულაც არ აღმოჩნდა ღირსების მქონე.

მე უფე თედო

რატომ? რა დააშავა ეგეთი?

დიაკვანი ტიტე

გურჯაანის ვაზისუბანში,

ბებრიჭამიას წმინდა საყდრისკენ მიმავალ გზაზე

მაშინ, როდესაც გულისფანქცალით
პატარა ბავშვი მოსანათლად ვემზადებოდი...

მ ე უ ფ ე თ ე დ ო

(აწყვეტინებს. ოდნავ საყვედურის ტონით)

ტიტე, მესმის რომ აღელვებული ხარ, მაგრამ თუ შეგიძლია მეტყველების ეგ პოეტური
სტილი ცოტა ხნით დაივიწყე და ჩვეულებრივად ისაუბრე. რა მოხდა გზაში?

დ ი ა კ ვ ა ნ ი ტ ი ტ ე

(პოეტურ ტონს მოიშორებს. ბუნებრივად ამბობს)

რა და ეს იდიოტი ნათლიაჩემი მთელი გზა მეხვეწებოდა, ეკლესიაში, როდესაც მღვდელი
შენკენ გადმოიხრება წვერები დააწიწკნეო. არ მეშვებოდა: დააწიწკნე, დააწიწკნე წვერიო.

მ ე უ ფ ე თ ე დ ო

მერე რა ქენი?

დ ი ა კ ვ ა ნ ი ტ ი ტ ე

(მონოლოგის დროს ფურცელს დაკუჭავს და მუჭში მოიქცევს)

მამას მეგობარს გაოგნებული შევეყურებდი და ვკანკალებდი.

არადა მიმტკიცებდა, სხვანაირად ნათლობას აზრი არ ექნება, სამოთხეში ვერ მოხვდებიო.

ხმა არ ამომიღია. (ტიტე საუბრის ძველ სტილს იბრუნებს)

და ჩვენ შევედით ბებრიჭამიას წმინდა საყდარში,

მღვდელმაც დაიწყო ნათლობის მაცხოვრებელი საიდუმლოს აღსრულება.

აღელვებული და მოცახცახე ბავშვის გულუბრყვილო თვალებით ავეყურებდი ზორბა

წვეროსანს, რომელსაც ჩემთვის სამოთხის კარი უნდა განეხვნა,

და როგორც კი ჩემსკენ გადმოიხარა, მირონის შუბლზე საცხებლად,

იმ სიმაღლეზე, თითქოს ეშმაკმა ამახტუნაო... წვერზე ჩამოვეკიდე...

ძლივს მომიშორა, მთელი მრევლი ეხმარებოდა.

ძლიერ აღშფოთდა, აღრიალდა და შემაჩვენა.

წყეულიმც იყავ, მკრეხელობა, მკრეხელობაო, – გაიძახოდა!

კიდევ კარგი, რომ დათვი დიდი იშვიათობაა

გურჯაანის მეჩხერ ტყეებში, თორემ ელისესავით მოუხმობდა და...

დღემდე მომყვება ის წყევლა, მამი, რა ვქნა, არ ვიცი.

მ ე უ ფ ე თ ე დ ო

დამშვიდდი, ტიტე, მაშინ ბავშვი იყავი, ბევრი რამ არ გესმოდა. გულუბრყვილოდ

დაუჯერე მამაშენის მეგობარს. ეგ ცოდვა შენ არ მოგეკითხება. ყველაფერი კომუნისტების

ბრალია, იმათ ჩათესეს ხალხში ათეიზმი და დამცინავი დამოკიდებულება მღვდლების

მიმართ.

დ ი ა კ ვ ა ნ ი ტ ი ტ ე

ეგ მე ვერ მანუგეშებს, ჩემო მეუფევ.

(დაუჩოქებს და ფეხებზე შემოეხვევა. ახედავს)

დაწყევლილი ვარ, დაწყევლილი და ვერავინ ამხსნა ეს წყევლა.

როგორც ბორკილი სხეულს ბოჭავს და თან ამბიმებს, ისე ადევს ჩემს სულს ეგ წყევლა.
ძლიერი სულის კვეთებულის ლოცვა მჭირდება!
მამა აკაკის უნდა ვესტუმრო, მეტეხის წმინდა ეკლესიაში,
მსმენია ეშმაკებს დევნისო.

მ ე უ ფ ე თ ე დ ო

(ტიტეს ფეხზე წამოაყენებს. ხელებს თავზე დაადებს და შთაგონებული შესძახებს)
უფლის მიერ ჩემთვის მონიჭებული ძალაუფლებით, ვამბობ: მამის, ძისა და წმინდა
სულის სახელით, დაე, მოგეტევოს ეგ ცოდვა და მოგეხსნას წყევლა, ამინ!

დ ი ა კ ვ ა ნ ი ტ ი ტ ე

(შესძახებს) აბბა მამი! (და ხელებს დაუკოცნის)
თითქოს რაღაც მძიმე ლოდი მოსწყდა ჩემს სულს, თავს მსუბუქად ვგრძნობ,
მაგრამ, ჩემო მამი, ის რიტუალი ბოლომდე ვერ აღსრულდა და დღეს ისიც კი არ ვიცი,
მონათლული ვარ თუ არა. მგონი ერთადერთი ვარ მართლმადიდებლურ სამყაროში, ვინც
ნახევრად მოინათლა.

მ ე უ ფ ე თ ე დ ო

შენ როგორ გწამს შინაგანად, მონათლული ხარ?

დ ი ა კ ვ ა ნ ი ტ ი ტ ე

მონათლული ვარ.

მ ე უ ფ ე თ ე დ ო

დაე ეგრე იყოს, მონათლული ხარ, ამინ!

დ ი ა კ ვ ა ნ ი ტ ი ტ ე

ამინ, მამაო, ამინ! მაგრამ იმ დღისა და წყევლის შემდეგ
ჩემი ცხოვრება გაუკუღმართდა და ესეც მინდა წვრილად გიამბო.

მ ე უ ფ ე თ ე დ ო

მიდი, მიაბზე.

დ ი ა კ ვ ა ნ ი ტ ი ტ ე

ჩქარი ნაბიჯით ტაძრიდან გამოსულს, ხედვა მიმძიმდა.
არ ვიცი სოფლამდე გზა როგორ გამოვიარე,
რადგან უფროსებს მეტი აღარ დავლოდებივარ,
გამოვიპარე და გამოვიქეცი.
მოვრბოდი, ვერაფერს ვგრძნობდი და ვერ ვამჩნევდი.
ირგვლივ ყველაფერი ნისლის ნამქერში ჩაიძირა.
ექვსი წლის ღლაპი, ღმერთს ავუჯანყდი და ნუგეში მჭირდებოდა.
ჩემს სოფელში, „ვაზისუბანში“, ერთი უფროსკლასელი მეგობარი მყავდა,
რომელმაც ერთხელ სკოლის დერეფანში გერმანული ფანქარი მაჩუქა და დავმეგობრდი.
მასთან მივედი...

იმ დღის შემდეგ განსაკუთრებულად დავმეგობრდით. განსაკუთრებულად.
ვმეგობრობდით და ვმეგობრობდით.

წლები გავიდა. მე მღვდლობა გადავწვიტე, ყველა ცოდვა მოვინანიე, ყველაფერი.
კვლავ ვინანიებ, ჩემო მამი, სულ ვინანიებ, მთელი ცხოვრება მოვინანიებ!
(ხელში ჩაკუჭულ ფურცელს გახსნის, გაასწორებს და მამა თედოს გაუწვდის)
აგერ, აი, ეს, ჩემო მამი. აგერ, აი, ეს.
ხმამაღლა წაიკითხე, რომ დავიტანჯო და რომ დავმდაბლდე.

მ ე უ ფ ე თ ე დ ო

(ფურცელს გამოართმევს. ჩააშტერდება და ხმამაღლა წაიკითხავს)
ექიმი პროქტოლოგის დასკვნა: პაციენტს აღენიშნება სწორი ნაწლავის დაზიანება.
სფინქტერის სპაზმი. ანალური ნაპრალი.
(ფურცელი ხელიდან გაუვარდება)

დ ი ა კ ვ ა ნ ი ტ ი ტ ე

(სწრაფად ხალხისკენ შემობრუნდება)
დამთავრდა. მორჩა. აღარ ვარსებობ,
ვინდა დაუშვებს აწი ჩემს მღვდლობას!
მე თქვენ მოგმართავთ ჩემო მსგავსებო,
ნუ შესთავაზებთ ღმერთს, ნუ შესთავაზებთ ღმერთს...

მ ე უ ფ ე თ ე დ ო

(აწყვეტინებს) შვილო ჩემო, იესო ყველასთვის შეეწირა და ღმერთთან მეგობრობა ყველას
შეუძლია. შემდეგ როგორ გაგრძელდა შენი ცხოვრება, სანამ მღვდლობას მოინდომებდი,
ვგულისხმობ იმას რომ... (დაიბნევა)

დ ი ა კ ვ ა ნ ი ტ ი ტ ე

რას გულისხმობ, ჩემო მამაო?

მ ე უ ფ ე თ ე დ ო

რას და, ცოტა კი მეუხერხულება, შეყვარებული თუ გყოლია, ქალებს როგორ აღიქვამდი?

დ ი ა კ ვ ა ნ ი ტ ი ტ ე

მეზიზღებოდნენ! გული მერეოდა მათზე.
ულამაზესებზეც კი, რას გვანან-მეთქი, გავიძახოდი.
და ამის გაგონებაზე ერთხელ რა მირჩია იცით იმ ბოროტმა ნათლიაჩემმა?
ხშირად დაირებოდა ჩვენთან.

მ ე უ ფ ე თ ე დ ო

რაო, რა გირჩია? კარგს რას გირჩევდა.

დ ი ა კ ვ ა ნ ი ტ ი ტ ე

მართალი ხარ, წმინდა მამაო, კარგს რას მირჩევდა!
მაგრამ გაოგნებული ვარ, რატომ მჯეროდა ყოველთვის მისი.

საოცარი დარწმუნების უნარი ჰქონდა.

ახლა მკვდარია, ვენახში მიძინარეს ტრაქტორმა გადაუარა.

მითხრა: ტიტე, თუ გსურს ქალის სილამაზის აღქმა ისწავლო, ბევრი წიწაკა ჭამეო.

მეუფე თედო

(უნებლიეთ გაეცინება. სწრაფად შეიკავებს თავს)

მერე რა ქენი, დაუჯერე?

დიაკვანი ტიტე

ვერ წარმოიდგენ, ჩემო მამი, რამდენ წიწაკას ვჭამდი იმ დღის შემდეგ.

ვჭამდი და ვჭამდი. სწორი ნაწლავის მდგომარეობა გავიუარესე,

მაგრამ, სამაგიეროდ, ქალის სილამაზის აღქმა ვისწავლე.

შეყვარებულზე მყავდა, ულამაზესი, რომელიც შემდეგ რომელიღაც მონასტერში აღიკვეცა

და ამან საბოლოოდ მეც მიბიძგა მღვდლობისკენ.

ყველაფერი ღვთის ნებით ხდება.

მეუფე თედო

ახლაც მონაზონია?

დიაკვანი ტიტე

დიახ, მამაო, მონაზონია.

წლებია უკვე აღარ მინახავს.

მეუფე თედო

მორჩა ტიტე შენი აღსარება, თუ კიდევ რამე გაქვს სათქმელი?

დიაკვანი ტიტე

ჩემი აღსარება მარადიულია, წმინდა მამაო,

ჩემს მონანიებას დასასრული არა აქვს, მაგრამ ახლა კი, მორჩა.

მე, ფიზიოლოგიური ნეშომპალა, ცოდვილი სული,

ვერც შემოგკადრებ მაზიარე-მეთქი.

ეპიტიმეას ველოდები შენგან მამაო,

ისეთ სასჯელს, რომ თვით სიზიფესაც კი არ დასიზმრებია!

მეუფე თედო

დაწერილია: წყალობა მსურს და არა მსხვერპლი.

(რამდენიმე ნაბიჯს გადადგამს და სცენის კუთხიდან, ისე, რომ მაყურებლები აქამდე ვერ

ხედავდნენ, ბარძიმს აიღებს. ცალ ხელს თავზე დაადებს დაჩოქილ ტიტეს და იტყვის)

მამის, მისა და წმინდა სულის სახელით: მოგეტევა ცოდვები. აჰა, დალიე, ეს მისი სისხლია,

რომელიც შენი ცოდვებისთვის დაიღვარა (მოასმევინებს და ფეხზე წამოაყენებს).

ახლა კი განწმენდილნი წარვდგებით კომიის სხდომაზე. მეც იქ ვიქნები, როგორც

დამსწრე. წავედით. (ტიტე ხმას აღარ იღებს. მეუფე თედო დაიხრება, ძირს დაგდებულ

ფურცელს აიღებს. დაჰყურებს. თან მარცხენა მხარეს მიდიან. შემდეგ გასვლისას ტიტეს

შეხედავს და ეტყვის)

მეუფე თედო

მაინც რა არის ფიზიოლოგიური ნეშომპალა, ჩემო ტიტე? (და მარცხენა მხრიდან გადიან)

პარაზასისი

(კომისიის სხდომა)

სცენაზე ჩნდება გრძელი ხის მაგიდა და მასზე ორივე მხრიდან ვერტიკალურად მიმდგარი გრძელი ხის სკამები. ერთ მხარეს ზის კომისიის თავმჯდომარე მეუფე კობა, უკან ერთ რიგად უდგას ექვსი ეპისკოპოსისგან შემდგარი მეორე ნახევარგუნდი. კობას მარჯვენა და მარცხენა მხარეს ორი სასულიერო პირი ზის, ჩვეულებრივ სამღვდელო ფორმაში გამოწყობილი. მოპირდაპირე მხარეს სხედან მეუფე თედო და ტიტე. ტიტე, რომელსაც იისფერი სტიქარი აცვია, ქორეპისკოპოს კობას უზის პირისპირ.

მეუფე კობა

(წინ გადაშლილ საქაღალდეში თავმოყრილი დოკუმენტები ულაგია. იქ იყურება და თან იქექება. ზოგჯერ ახედავს ხოლმე ტიტეს, მეუფე თედოს არ იმჩნევს)

ჩვენ დაწვრილებით გამოვიკვლიეთ შენი პიროვნული და ზნეობრივი მხარეები, შენი ბიოგრაფია, გურჯაანიდან დაწყებული და თბილისით დამთავრებული. დოკუმენტებს კარგად გავეცანით და ბევრ საგულისხმო რაღაცებს გადავაწყდით, აგერ, მაგალითად, აქ წერია, რომ ღალატი შეგძლებია.

მეორე ნახევარგუნდი

ღალატი! ღალატი! ღალატი!

დიაკვანი ტიტე

(აღშფოთებული)

რატომ მაკადრებთ, მეუფეო, რა დავაშავე?

რაში გამოიხატება ჩემი ღალატი?

მეუფე იაკობი

(დოკუმენტს ჩააშტერდება)

იცის შენმა მოძღვარმა, სექტის წევრი რომ იყავი?

(მეუფე კობა ტიტეს შეხედავს, ტიტე კი დარცხვენილი თავს მეუფე თედოსკენ მიაბრუნებს, მეუფე თედო თავს დახრის)

ჯერ მამა-პაპის რელიგიას უღალატე და იქ შეხვედი, შემდეგ იმათ უღალატე და ისევ აქეთ გადმობარგდი, დიდი მერყევი ვინმე ჩანხარ.

დიაკვანი ტიტე

ო, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რაებს მაკადრებთ.

მე მართლმადიდებელი დიაკონი...

მეუფე კობა

(აწყვეტინებს)

მოუთმენელი და ცოტა აგრესიულიც ყოფილხარ.

მეორე ნახევრუნდი

მოუთმენელი! მოუთმენელი! მოუთმენელი!

და... და... და...

მეუფე კობა

(მეუფე კობა ნახევარგუნდს ახედავს და ეტყვის)

რა იყო, ვერ გაიხსენეთ? ცოტა ხანი გაჩუმდით რა, დაგვაცადეთ.

მეუფე თედო

(ამასობაში მეუფე თედო ტიტეს მხარზე ხელს დაადებს და ჩაილაპარაკებს)

დამშვიდდი, შვილო ჩემო, ტიტე, მღვდელს, უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესი, არ შეშვენის ადელვება.

დიაკვანი ტიტე

(თავს დახრის და მშვიდად ჩაილაპარაკებს)

განა თვით დიდი ნეტარი ავგუსტინე ავრელიუსი ცხრა წელიწადი მანიქველთა სექტის წევრი არ იყო? შემდეგ გონს მოეგო და დედა ეკლესიის წიაღს დაუბრუნდა.

მეუფე კობა

ოჰო, სამაგალითოდ განდგომილ ლათინთა და კათოლიკეთა მამის დასახელებასაც არ ერიდები. ეკუმენისტიც ყოფილხარ. იქნებ ფილიოკვესაც აღიარებ, ყოფილი სექტანტისგან არ გამიკვირდება!

დიაკვანი ტიტე

რას მერჩით მეუფეო, რა დავაშავე,

წმინდა ავგუსტინეს აღმოსავლეთშიც ხომ აღიარებენ.

მეუფე კობა

(აღშფოთებული ფეხზე წამოიჭრება. ის ორი მღვდელიც წამოდგება და აქეთ-იქიდან მხარზე ხელს დაადებენ)

ლიბერასტები, ლიბერასტები, მედასავლეთე სოდომისტი მოდერნისტი თეოლოგები, ეკლესიისა და საქართველოს მტრები! იქნებ მოგწონს კიდევ ეგენი, ჰა?!

მეორე ნახევარგუნდი

ლიბერალები! ლიბერალები! ლიბერალები!

მედასავლეთე მამათმავალი მოდერნისტი თეოლოგები, ეკლესიისა და საქართველოს მტრები!

იქნებ მოგწონთ კიდევ ეგენი?! იქნებ მოგწონთ კიდევ?!

მოგწონთ კიდევ?! მოგწონთ კიდევ?! მოგწონთ კიდევ, ჰა? (დარბაზს გახედავენ)

(ისევ დაჯდება სამივე)

დ ი ა კ ვ ა ნ ი ტ ი ტ ე
(თავს ასწევს და მეუფე კობას შეხედავს)
არა, არ მომწონს ლიბერალები.

მ ე უ ფ ე კ ო ბ ა
კიდევ კარგი, ძლივს რაღაცა მომეწონა. გადამრევს ეს ხალხი ბოზ...
(უცებ გაჩერდება. დაბნეული) ჰო, ჰო... რაზე ვლაპარაკობდით? ნეტარი ავგუსტინე, სექტა
და ა. შ.
ეგ მთელი ცხოვრება „მანიქეველად“ დარჩა, ვერაფრით გათავისუფლდა, იქნებ შენც
ცხოვრების ბოლომდე აპირებ „იელოველობას“ და „მასონობას“?

მ ე ო რ ე ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი
მასონები! მასონები! მასონები!
მტრები! მტრები! მტრები!
მასონები! მასონები! მასონები!
მტრები! მტრები! მტრები!
მასონები! მასონები! მასონები!
მტრები! მტრები! მტრები!
მასონები! მასონები! მასონები!
სოროსი! სოროსი! სოროსი!
იელოველი! იელოველი! იელოველი!
მტერი! მტერი! მტერი!
გვართმევს! გვართმევს! გვართმევს!
გვართმევს! გვართმევს! გვართმევს!
გვართმევს! გვართმევს! გვართმ...

მ ე უ ფ ე კ ო ბ ა
(ახედავს ნახევარგუნდს და შეაწყვეტნებს)
ასეთს რას გვართმევენ კაცო?
რაღაცა აურიეთ ახლა თქვენ.
ნუ ჩაიხვევთ ხოლმე. გავიგეთ.

დ ი ა კ ვ ა ნ ი ტ ი ტ ე
ადრეც ვთქვი და კვლავ ვიმეორებ:
მართლმადიდებელი დიაკონი ვარ,
მორჩა, გათავდა.

მ ე უ ფ ე კ ო ბ ა
ეგ გასაგებია, მაგრამ... მაგრამ.... (სასაცილო ინტონაციით წარმოთქვამს) ისე, მაინც როგორ
ჩავითრიეს, ჰა? მართლა შაქარზე და ფქვილზე გაცვალე ქართველობა?

ჰაუზა.

მეუფე კობა
კარგი, ამაზე მოვრჩეთ, სხვა საკითხზე გადავიდეთ.

მეორე ნახევარგუნდი
გადავიდეთ! გადავიდეთ! გადავიდეთ!

მეუფე კობა
(დოკუმენტების ფურცვლას აგრძელებს)
აგერ აქ წერია, რომ ბავშვობაში ნათლობისას მღვდელს წვერი დააწიწკნე და სული
გაუმწარე, მართალია?

პაუზა.
(გაკვირვებული და გაოგნებული ტიტე მეუფე თედოს გახედავს. ის უხერხულად აიჩეჩავს
მხრებს და თავს გააქნევს)

მეუფე კობა
გეკითხები, მართალია?

დიაკვანი ტიტე
საუბედუროდ, მართალია, მკაცრო მეუფევ.
ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ მისი წვერის ბლუჯა ახლაც ხელში მიჭირავს.

მეუფე კობა
კიდევ მე ვარ მკაცრი? ჰოდა, ხელში რომ გიჭირავს... იცი როგორ გაუმწარე იმ მღვდელს
სული?

დიაკვანი ტიტე
(სასაცილოდ ამბობს) ვიცი, დამწყევლა.

მეუფე კობა
წყევლას რომ დასჯერდა და იქვე არ მიგინგრია ცხვირ-პირი მადლობა თქვი!

დიაკვანი ტიტე
ნეტა ვეცემე.

მეუფე კობა
ისე, კარგი ხელი გქონია, ვერაფერს ვიტყვი.

დიაკვანი ტიტე
(ხელებს წინ გამოსწევს)
ოი, უფალო, რად არ გამიხმე ეს ხელები.

მეუფე კობა
იცი მერე იმ მღვდელს რა შეემთხვა?

დიაკვანი ტიტე
არა, არ ვიცი.

მეუფე კობა
რა და... ჰმ... რა და ქორეპისკოპოსი გახდა.

დიაკვანი ტიტე
(გაოგნებული. ფეხზე წამოჭრება)
როგორ თქვენ?.. ეს თქვენ იყავით, მკაცრო მეუფევ?
ღმერთო მაღალო, დიდება შენ, რომ შემახვედრე!
(სკამზე დაეშვება, თავს ხელებში ჩარგავს და ჩაილაპარაკებს)
მომიტევით, ჩემო მეუფევ, გემუდარებით, მაპატიეთ ის მკრეხელობა, წყევლა ამხსენით.

მეუფე კობა
მომიტევე კარგია, ის სიმწარე ახლაც მახსოვს (წვერზე ხელს ჩამოისვამს), ასეთი მეჩხერი
წვერი რომ მაქვს, შენი დამსახურებაა, თუმცა რა ხანია მოგიტევე, წყევლაც აგხსენი და
ნათლობაც ჩაგითვალე.

მეორე ნახევარგუნდი
დიდსულოვანი! დიდსულოვანი! დიდსულოვანი!

მეუფე კობა
(ოდნავ გაინაზება. დარცხვენილი ახედავს ნახევარგუნდს)
კარგით, გეყოფათ. ქრისტიანები ვართ, არ არის საჭირო.

დიაკვანი ტიტე
გმადლობ. მადლობა, ჩემო მეუფევ.
დიდი ლოდი ახსენი ჩემს სულს, გავთავისუფლდი.

მეუფე კობა
(უფრო სწრაფად გადაფურცლავს საბუთებს)
კარგი, შემდეგი საკითხები უფრო სწრაფად გავიაროთ, მგონი ისეთი აღარაფერია.
(უცებ ერთ ადგილს ჩააშტერდება) აქ წერია, რომ იერუსალიმში წმინდა ცეცხლის
გარდამოსვლის სასწაულის არ გჯერა, მართალია?

დიაკვანი ტიტე
(ისევ გაოგნებული შეხედავს თედოს, ის კვლავ მხრებს აიჩეჩავს)
საუბედუროდ, მართალია, მკაცრო მეუფევ.

მეორე ნახევარგუნდი
ურწმუნოება! ურწმუნოება! ურწმუნოება!

მეუფე კობა
განიცდი და ნერვიულობ მაინც ურწმუნოების გამო?

დიაკვანი ტიტე
ვიტანჯები. ვიტანჯები და ვნერვიულობ.

მეუფე კობა
(სასაცილოდ ამბობს) მერე რა განერვიულებს, ნეტა მაგ „სასწაულის“ რომელ
ჭკუადმოფელს სჯერა?

დიაკვანი ტიტე
თქვენც, მეუფევ?!

მეუფე კობა
როგორ გითხრა... მოდი ჩემი პოზიციის დაფიქსირებისგან თავს შევიკავებ. შემდეგ
საკითხზე გადავიდეთ: წიწაკა გიყვართ?

პაუზა.

დიაკვანი ტიტე
(ისევ გაოცებული მიაშტერდება მეუფე თედოს. ის კვლავ მხრებს იჩეჩავს)
ო, ღმერთო ახლა რა მეშველება მართლა არ ვიცი,
საიდან იცით მეუფეო ეს ყველაფერი?
მე არაფერი აღარ მინდა ამ ცხოვრებაში,
მცირედიტაც კმაყოფილი ვარ.
თუ არ მაკურთხებთ (რადაცნაირად მოიკუნტება, ხელებს წინ გაიწვდის. თითქოს
კალათში ბურთს აგდებსო, უცნაურ მოძრაობას შეასრულებს)
ქრისტეს ჯვართან მნახავთ დავარდნილს,
მთელი ცხოვრება იქ ვეგდები, არ გავინძრევი,
მისთვის შეურაცხყოფილი და დამცირებული.
(უცებ მეუფე კობას მიაშტერდება)
მე უმწეო ვარ. თქვენ – სამეფო ძალის მფლობელნი. – წმინდა მამანო.

მეუფე კობა
მოიცა კაცო, რამ გადაგრია, ერთი ვიცოდე, შენი წიწაკის სიყვარულის ამბავზე მთელი
კახეთი ლაპარაკობდა, მე იქ მღვდელი ვიყავი, დიდი ამბავი თუ ვიცი.

დიაკვანი ტიტე
(ხელს ჩაიქნევს) ახლა აღარ მიყვარს, ერთ დროს მიყვარდა.

მეუფე კობა
ჰოდა, ჯანმრთელობისთვის ზიანი მიგიყენებია.
(ფურცელს საქალაქიდან ამოაძვრენს და ჩააშტერდება)
ცოტა უხეხრული კი არის, მაგრამ ხომ იცი, ჯერ წესია საქმე და მერე საქმეა წესი, თუ
როგორც არის. მოკლედ, ექიმი-პროქტოლოგის ცნობაში წერია, რომ სწორი ნაწლავი
დაზიანებული გაქვს, თუმცა, სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ ეს დაზიანება
ნორმის ანუ ბუასილის ფარგლებში ჯდება.

დიაკვანი ტიტე
(გახარებული წამოიყვირებს)
მართლა, მეუფევ?

მეუფე კობა
მართლა. და თან, მახსოვს, გურჯაანში ამბობდნენ, ერთი ლამაზი ქალი უყვარს...

დიაკვანი ტიტე
(აწყვეტინებს) რა კარგი მეხსიერება გაქვთ, მართალია, ჩემო მეუფევ, ძალიან მიყვარდა!

მეორე ნახევარგუნდი
დიდება უფალს! დიდება უფალს! დიდება უფალს!

მეუფე კობა
(დამჯდარი, ოდნავ მიტრიალდება სცენის მარცხენა მხარეს, ხელს გაიშვერს და ხმამაღლა იტყვის) ეს ხომ არ იყო?
(სცენის მარცხენა მხრიდან ულამაზესი მონაზონი შემოვა და მათ მოუახლოვდება)

დიაკვანი ტიტე
(ფეხზე წამოიჭრება, უმწეოდ თითს გაიშვერს და ძლივს ამოილულულეებს)
ეეეს... დროთა კავშირი დაირღვა და... ეეს...
(და გული წაუვა. სცენა დაბნელდება. სიბნელეში გაისმება მეუფე თედოს ხმა)

მეუფე თედო
ტიტე, შვილო! წყალი!..
(ჩაბნელებული სცენიდან ყველანი გადიან, რჩება მხოლოდ ტიტე)

მეხუთე ეპისოდონი

სცენა ნელ-ნელა ნათდება. იწყება მუსიკა. სცენა უნდა იყოს ფეერიული, ოდნავ განათებული, ფანტასმაგორიული. ლამაზ ფერებში. იისფერი სტიქარით შემოსილი ტიტე სკამზე ზის, მაყურებელი მის პროფილს ხედავს. უნდა შეიქმნას რომანტიკული ზღაპრისა და სიზმრის განწყობა. სცენის სიღრმიდან გამოდის და ნელ-ნელა ტიტეს უახლოვდება ულამაზესი მონაზონი. მიუახლოვდება. დახედავს, ტიტე ახედავს და ჰკითხავს:

დიაკვანი ტიტე
შენ, შენ, რა გქვია?

მონაზონი
მე? დედა მაია.

დიაკვანი ტიტე
დედა?

მონაზონი მათა
ჰო, დედა. დედა მათა.

დიაკვანი ტიტე
აჰ, ისევ ის სახელი, მაგრამ დედაო?
(დაბნეული) გეხვეწები, მითხარ დედაო...

მონაზონი მათა
რა გაინტერესებს?

დიაკვანი ტიტე
ჩვენ, ჩვენ ხომ პოეზია გვიყვარდა, დედაო...
(დაიბნევა)

მონაზონი მათა
ჰო, გვიყვარდა, ძალიან გვიყვარდა.

დიაკვანი ტიტე
(სკამიდან წამოდგება)
საკურთხეველთან გელოდებოდი, დედაო,
ქორწილის დღეს უგზოუკვლოდ გადაიკარგე...
ცოლად რატომ არ გამომყევი?

მონაზონი მათა
ცოლად?

დიაკვანი ტიტე
ჰო, ცოლად.

მონაზონი მათა
განა არ იცი, რომ გათხოვილ ქალს
წარსულიდან ეგეთ შეკითხვებს აღარ უსვამენ?

დიაკვანი ტიტე
რაა? გათხოვილი ხარ?

მონაზონი მათა
კი, კი, გავთხოვდი,
რა ხანია გათხოვილი ვარ.

დიაკვანი ტიტე
ბედნიერი ხარ?

მონაზონი მათა
სამყაროში ყველაზე ბედნიერი!

პაუზა.

დიაკვანი ტიტე
(რამდენიმე ნაბიჯით მოშორდება)
და ვის გაჰყევი?

მონაზონი მათა
(მიუახლოვდება)
განა არ იცი, „ვით სასძლოს ფარჩა და აღმასები“?

დიაკვანი ტიტე
სასძლო ეკლესიაა, მახსოვს,
მაგრამ შენ, შენ ვის გაჰყევი?

მონაზონი მათა
უფალ იესოს!
(პასუხით გაოგნებულ ტიტეს დედა მათა ტუჩებზე ნაზად ეამბორება და სცენის იმ
ნაწილიდან გაუჩინარდება, საიდანაც გაჩნდა. დარეტიანებული ტიტე მაცურებლისკენ
მიბრუნდება.
მცირე პაუზა.)

დიაკვანი ტიტე
(ხმადაბლა)
არარაობავ!.. ბედნიერებავ!..
უფალო იესო, შემიწყალე მე ცოდვილი.
(სცენას დატოვებს)

მეექვსე ეპისოდის ბოლო

(სცენაზე ერთდროულად ლაპარაკით შემოდინან შორენა და ქორეპისკოპოსი კობა)

შორენა
რა ქენი, დადგი სპექტაკლი?

მეუფე კობა
რომელს გულისხმობ?

შორენა
კომიისის სხდომას.

მეუფე კობა
ეს იყო დიდებული სანახაობა.

შორენა
მერე რა გადაწყვიტეთ?

მეუფე კობა

კარგად გავერთე. (ამოიოხრებს) ეჰ, რა მსახიობი ვკვდები? (გაეცინებათ)

შორენა

აკურთხე?

მეუფე კობა

დამცინი?

შორენა

კი

მეუფე კობა

გადავდე. ვუთხარი, საბოლოო სხდომა წმინდა სინოდის შეკრების შემდეგ გავმართოთ-მეთქი.

შორენა

თედო მიხვდა?

მეუფე კობა

დიდი ეშმაკი ვინმეა ჩვენი ასკეტი ასკლეპიოსი, ვითომ გულუბრყვილოა, სინამდვილეში ყველაფერს მშვენივრად ხვდება.

შორენა

ჰოდა, მხარს დაგვიჭერს, თუ არა და იქნება ტიტე მარადმწვანე დიაკვანი (გაეცინებათ)

მეუფე კობა

მოკლედ, სინოდის სხდომის შემდეგ, როდესაც დიდი მთავრის მოსაყდრის საკითხი გაირკვევა, ტიტესაც ვაკურთხებთ და ყველაფერი თავის კალაპოტს დაუბრუნდება. სამომავლოდ ეგეც ჩვენი კაცია. ჰო, მართლა, დიდი მთავარი როგორ არის?

შორენა

გაიყინა!

მეუფე კობა

რაა? რას ჰქვია გაიყინა?

შორენა

რას ჰქვია, რას ჰქვია გაიყინა? აი ეგრე, ზამთარში, თავის დაბადების დღეზე, 85 წლის ასაკში, მეტროს გადასასვლელში გადადიოდა და გაიყინა (კობას გაოგნებულ სახეს შეხედავს და გაეცინება). კარგი, რა იყო, ვხუმრობ. როგორც ჩანს, არც თანამედროვე პოეზიას იცნობ.

(სახეს დაისერიოზულეხს) სინამდვილეში კი პაპა ცუდად არის, იმდენად ცუდად, რომ სხდომას ვერ დაესწრება. დაბერდა.

მეუფე კობა
წარმომადგენლად ვის გზავნის?

შორენა
გაგიკვირდება და...
აბა, თუ გამოიცნობ.

მეუფე კობა
(შეხედავს შორენას და დააკვირდება მის ცინიკურ გამომეტყველებას. შორენა ფრინველის ფრთებივით გააქნევს ხელებს. კობას გაეცინება)
კაი, ნუ გაატრ...

შორენა
ყოჩაღ! მიხვდი ხომ? ჰო, ჰო, შიოს. თუთიყუში შიო გაახმოვანებს მის პოზიციას სინოდის სხდომაზე.

მეუფე კობა
და მასთან ხომ კარგად იმუშავე?

შორენა
კი, აბა როგორ. მთელი ამ ხნის განმავლობაში რას აღარ ჩავჩიჩინებდი, მგონი დავიდა მაგის ტვინამდე.

მეუფე კობა
მაგას ტვინიცა აქვს?

შორენა
ჩვენ ეპისკოპოსებზე ბევრად მეტი (გაეცინებათ)

მეუფე კობა
მოკლედ, შენი წყალობით, ადამიანებიდან დაწყებული და თუთიყუშით დამთავრებული ყველა მეშოკში გვყავს. ტალეირანი და რიშელიე მიმიქარავს, ბოზი შვილ...

შორენა
ჰო, კაი, კაი ახლა, გეყოფა. შენ პატრიარქობის შემდეგაც ვერ შეეშვები გინებას. წავედით, საქმეს მივხედოთ.

მეუფე კობა
კარგი, წავედით. ხვალ სხდომაა.
(სცენას ტოვებენ)

აგონი

სცენაზე 12 ეპისკოპოსისაგან შემდგარი ქორო გამოდის. ისევე შემოსილნი, როგორც პაროდოსში. მეუფე თედოც მათ შორისაა. ორ რიგად დგანან, ხმას არ იღებენ. სცენაზე

ასევე ჩნდება დიდი ოქროს გალია, შიგნით თუთიყუშია. გალია ეკლესიის ფონზე, ქოროს თავზე, უხილავ ძაფზეა ჩამოკიდებული, თითქოს ცაშია გამოკიდებულიო. გალიის ქვეშ, მაყურებლისთვის შეუმჩნეველ ადგილას, საშუალო ზომის თეთრი მუყაოს ყუთი დგას. უცებ მარჯვენა მხრიდან აღელვებული შორენა და მეუფე იაკობი შემოვლენ და ქოროს წინ დადგებიან. შორენას კვლავ ფურცელი უჭირავს ხელში, ამჯერად მასზე რალაცები წერია. ლაპარაკის დროს აფრიალებს.

შორენა

(ხელს წინა რიგში მდგარ მეუფე თედოსკენ გაიშვერს)

გახსოვთ, ამ კაცმა იძულებული გაგვხადა ეპისკოპოსად გამოგვერჩია?

ქორო

ვალშია! ვალშია! ვალშია!

შორენა

ვალშია, ოღონდ ჩვენთან კი არა, ქრისტეს ეკლესიასთან.

ქორო

ეკლესიასთან, ეკლესიასთან, ეკლესიასთან,
და არა ჩვენთან!

შორენა

მაშ ასე, ყველამ კარგად ვიცით, რომ ჩვენი დიდი მამა, უწმინდესი, მთავარეპისკოპოსი სრულიად ირმის ნახტომისა, ბოლო ჟამის ახალი მოციქული უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესი, ძლიერ ავად არის, დაბერდა.

ქორო

რა გვეშველება! რა გვეშველება! რა გვეშველება!

ღმერთი გვიშველის! ღმერთი გვიშველის! ღმერთი გვიშველის!

პოლიქრონიონ! პოლიქრონიონ!..

შორენა

(გაბრაზებული შეაწყვეტინებს)

თქვენ ხომ არ გადაირიეთ, რაებს ბოდავთ, რა პოლიქრონიონ!

ქორო

ვბოდავთ! ვბოდავთ! ვბოდავთ!

(ლაპარაკში უცერად ქორეპისკოპოსი კობა ჩაერთვება)

მეუფე კობა

ყველამ ვიცით, რომ დღეს სინოდის სხდომაზე განიხილება მთავარეპისკოპოსის მოსაყდრის...

(უცებ თუთიყუში გააწყვეტინებს)

შ ი ო

მოსაყდრე! მოსაყდრე! მოსაყდრე!

მ ე უ ფ ე კ ო ბ ა

აი, ხომ ხედავთ, თავად დიდი მთავრის წარმომადგენელმა, დროებითმა მოსაყდრემ (ხელს გალიისკენ გაიშვერს) შიომ დაადასტურა, რომ ეს არის დღევანდელი სხდომის მთავარი საკითხი. ის ხომ მის ნებას გამოხატავს.

(უცებ საუბარში ისევ შორენა ჩაერთვება)

შ ო რ ე ნ ა

მოსაყდრის პირდაპირი დასახელების უფლება მხოლოდ დიდ მთავარს აქვს, მისი წარმომადგენელი კი გალიაშია, გავხსნათ გალია და ვისაც ის დააჯდება, ის იქნება მთავარი მოსაყდრე.

ქ ო რ ო

გავხსნათ! გავხსნათ! გავხსნათ!

(ქოროს, წინა რიგიდან ერთი მაღალი ეპისკოპოსი გამოეყოფა, გალიას გააღებს და მეუფე თედოს გვერდზე თავის ადგილს დაუბრუნდება. თუთიყუში შიო გამოფრინდება, სცენას შემოუფრენს, ჯერ ქორეპისკოპოს კობას მიუახლოვდება და უცებ, მოულოდნელად იმ ეპისკოპოსს დააჯდება მხარზე, რომელმაც გალიის კარი გაუღო და ჩაილაპარაკებს)

შ ი ო

მეუფე პეტრე! მეუფე პეტრე! მეუფე პეტრე!

(კობა შორენას შეხედავს გაბრაზებული და გაოგნებული)

შ ო რ ე ნ ა

(დაიყვირებს)

მოიცათ! მოიცათ! არა, მეგობრებო, ასე არ გამოვა, ეს უსამართლობაა! მეუფე პეტრემ თავად გაუღო თუთიყუმს კარი და აბა სხვას ვის დააფრინდებოდა შიო, თუ არა იმას, ვინც კარგი გაუხსნა? ასეთი სერიოზული საკითხის გადაწყვეტას თუთიყუმს ვერ მივანდობთ, მოდით კენჭი ვყაროთ.

ქ ო რ ო

ვყაროთ! ვყაროთ! ვყაროთ!

შ ი ო

არრა! არრა! არრა!

ქ ო რ ო

კენჭისყრა! კენჭისყრა! კენჭისყრა!

(ამასობაში შორენა ფურცელს, რომელიც ხელში ეჭირა, დაკეცავს, ჯიბეში შეინახავს და გალიის ქვემოთ მდგარი ყუთისკენ გაემართება. თეთრი ყუთით ხელში ეპისკოპოსებს ჩამოუვლის)

შორენა

ვაგროვებ ნებას. ჩაყარეთ, ჩაყარეთ თქვენი ხმები, ეპისკოპოსებო, ოღონდ მოსაყდრედ მკვლელს ნუ ავირჩევთ, წმინდა მამანო...

(ეპისკოპოსები გულის ჯიბიდან დაკეცილ ფურცლებს იღებენ და ყუთში აგდებენ.

ბოლოს, შორენა კობასთან მივა და ყუთს გაუშვებს)

შენც ჩააგდე, რა იცი რა ხდება.

(მეუფე კობაც ჩააგდებს დაკეცილ ფურცელს. შორენა ყუთს იქვე დადგამს,

ჯიბეში შენახულ ფურცელს ამოაძვრენს და წაიკითხავს)

მაშ ასე, შვიდი ხმა ექვსის წინააღმდეგ, ერთი ხმით გაიმარჯვა (ხმა აუკანკალდება), ერთი

ხმით გაიმარჯვა ქორეპისკოპოსმა კობამ, მოსაყდრე მეუფე კობაა, დიდება უფალს!

ქორო

აქსიოს! აქსიოს! აქსიოს!

ღმერთმა გვიშველა! ღმერთმა გვიშველა! ღმერთმა გვიშველა!

აქსიოს! აქსიოს! აქსიოს!

შიო

(კვლავ პეტრეს აზის მხარზე)

სირრცხვილი! სირრცხვილი! სირრცხვილი!

შორენა

მოაკეტინეთ ვინმემ ამ თუთიყუშს, ისედაც ბევრი ვალაპარაკეთ. მაგას ისიც ეყოფა, რომ

მეორე რიგის მოსაყდრეა. კინაღამ მამამთავარის მკვლელობაში ეჭვმიტანილი არ

ავირჩიეთ, კაცო!

ქორო

მადლობა ღმერთს! მადლობა ღმერთს! მადლობა ღმერთს!

შორენა

ის მღვდელი, უწმინდესის მოწამვლას რომ აპირებდა, სწორედ მეუფე პეტრეს ადებს ხელს,

ამან დამავალაო.

ქორო

კიდევ კარგი! კიდევ კარგი! კიდევ კარგი!

შორენა

(ქოროში მდგარ მეუფე თედოსკენ გაიშვებს თითს)

ერთი ხმით გავიმარჯვეთ, ერთი ხმით, ეს იმას ნიშნავს, რომ... ეს იმას ნიშნავს

(ხელს მოავლებს ქოროს), რომ თქვენს შორის ნახევარი მოღალატეა! ახლა კი დაგვტოვით,

თქვენი თუთიყუშიანად!

ქორო

(თან სცენიდან გადიან და თან იმეორებენ)

მოლალატე! მოლალატე! მოლალატე!

თუთიყუმები! თუთიყუმები! თუთიყუმები!

თუთიყუმები! თუთიყუმები! თუთიყუმები!

(მეუფე პეტრეს თუთიყუმში შიო კვლავ მხარზე აზის და ქოროსთან ერთად ტოვებს სცენას.

თუთიყუმში, რაღაც მომენტში, აფრინდება, სცენას შემოუფრენს და კულისებში

გაუჩინარდება.

ქოროც დატოვებს სცენას.

რჩებიან მხოლოდ ქორეპისკოპოსი კობა და მდივან-რეფერენტი შორენა)

შორენა

კინაღამ არ დაგვლუპა შიომ? ამიტოა რა, თუთიყუმების იმედზე არ უნდა იყო.

მეუფე კობა

ჰო, შენ რომ არა... შენ რომ არა... ვინ გვყოლია ისტორიაში შენნარი გავლენიანი ქალი.

მეორე თამარ მეფე ხარ რა, და დაჟე უფრო მეტიც, ბოზი შვ...

შორენა

კარგი ახლა, არ გინდა ეგეთი ლაპარაკი. ერთი ხმით მოვიგეთ, აზრზე ხარ. აი, რომ

გეუბნებოდი, თედო ვაკურთხოთ-მეთქი.

მეუფე კობა

ჰო, აბა, სულ თედომ მოგვაგებინა რა (გაეცინებათ)!

შორენა

დავუფასოთ და ვუკურთხოთ მღვდლად ტიტე, სამომავლოდ ეგეც ჩვენი კაცია.

მეუფე კობა

ორ დღეში სხდომაა და ვაკურთხებ, ჯანდაბას მაგათი თავი.

შორენა

და მაინც, არჩევნებს ვინ იგებს?

მეუფე კობა

(მხრებს აიჩეჩავს) რა ვიცი, ჩვენ.

შორენა

ეჰ, აზრზე არა ხარ რა, არჩევნებს ის იგებს, ვინც ხმებს ითვლის!

მეუფე კობა

ჭკვიანურია. დავიმახსოვრებ. თორმეტში ერთი მოლალატეც ბევრია და ცამეტში ექვსი

ძალიან ბევრია. ახლიდან გვაქვს საქმე დასაწყები.

შორენა

დაიწყე მერე, დამწყემსე უფლის ცხვრები, მოსაყდრე შენ რო ხარ ეგეთი უნდა.

(ამ დროს ხმაური, გნიასი და ჩოჩქოლი ატყდება. მარჯვენა და მარცხენა მხრიდან კამერებითა და მიკროფონებით ხელში სცენაზე ჟურნალისტები შემოცვივდებიან. შორენა, ჟურნალისტების დანახვაზე, რომლებიც ყვირიან „ქალბატონო შორენა, ქალბატონო შორენა“-ს, სცენიდან გარბის და გაიძახის, „მე რა შუაში ვარ, მე არაფერი ვიცი, ეგ გაგცემთ პასუხსო“ და სცენას ტოვებს. ჟურნალისტები მეუფე კობას მიესვვიან, რომელიც მშვიდად და აუღელვებლად პასუხობს ჟურნალისტების შეკითხვებს)

ექსოდოსი

ჟურნალისტი

მეუფე კობა, მართალია, რომ მოსაყდრეთ თქვენ აგირჩიეს?

მეუფე კობა

ნაწილობრივ.

ჟურნალისტი

ეგ როგორ გავიგოთ?

მეუფე კობა

როგორ და მხოლოდ მე არ ვარ მოსაყდრე.

ჟურნალისტი

კიდევ ვინმეა?

მეუფე კობა

დიახ.

ჟურნალისტი

ვინ არის?

მეუფე კობა

ის, ვინც სინოდის სხდომაზე დიდი მთავრის ნება გვამცნო.

ჟურნალისტი

შეგიძლიათ დაასახელოთ?

მეუფე კობა

შიო!

(ჟურნალისტებში ყაყანი და ჩოჩქოლი დაიწყება: „ვინ არის შიო? ვინ არის შიო?“, კითხულობენ. „მასზე არაფერი გვსმენიაო“.)

მე უფე კობა

არაუშავს, მალე გაიგებთ ვინც არის. არა არს დაფარული, რომელიც არ გაცხადდეს.

ქურნალისტი

ასე სწრაფად, ერთ სხდომაში, როგორ განიხილეთ და გადაწყვიტეთ მოსაყდრის საკითხი? თან თქვენ ამბობთ, რომ ორი კანდიდატურა ყოფილა გამოსარჩევი?

მე უფე კობა

ის ერთი ჩემამდე უშუალოდ მთავარეპისკოპოსმა დანიშნა, ხოლო რაც შემეხება მე... (კამერებისკენ შემობრუნდება, ხალხს მიაშტერდება და პრინციპული და დამაჯერებელი ტონით იტყვის) ეკლესიაზე სულიწმინდა მოქმედებს, აქ ღვთის მადლია, ჩემო კარგებო, ამიტომ ჩვენ, რასაც ვაკეთებთ, ყველაფერს ლაზათიანად ვაკეთებთ!

ქურნალისტი

კიდევ რამეს ხომ არ გვეტყოდით? შიო სად არის?

მე უფე კობა

(იმავე ტონში აგრძელებს)

შიოს გალიის კარი გავუღეთ, ის თავისუფალია!

ქურნალისტი

(აწყვეტინებს)

რისი თქმა გასურთ ამით?

მე უფე კობა

რისი და (გამომწვევად ამბობს),

შიო ჩრდილოეთში გადაფრინდა, ჩვენ გავიმარჯვეთ!

(ყველანი ტოვებენ სცენას).

ფარდა!!!

11. 01. 2018

© არილი